**ბანკის ვებგვერდზე https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments განთავსებული "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების" 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითად პირობებში" (შემდგომში "ხელშეკრულების ძირითადი პირობები") და "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში" (შემდგომში "სტანდარტული პირობები") შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:**

**1.** შეიცვალოს ხელშეკრულების ძირითადი პირობების 1.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1. კომპანია (მეწარმე / გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი და/ან იურიდიული პირი / ორგანიზაციული წარმონაქმნი) უზრუნველყოფს VISA და MasterCard საერთაშორისო ბარათების და TPAY და/ან GEOPAY არხის გამოყენებას, როგორც საგადამხდელო საშუალებას, გაწეული მომსახურების საფასურის/ გაყიდული საქონლის ღირებულების მიღების მიზნით.

**2.** შეიცვალოს ხელშეკრულების ძირითადი პირობების 1.4. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.4. ბანკს უფლება აქვს ხელშეკრულებაში და/ან ნებისმიერ დანართში და/ან ნებისმიერი განაცხადით და/ან ბანკის ვებგვერდზე https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments (შემდგომში „ბანკის ვებგვერდი") განსაზღვრულ პირობებში ცვლილებები/დამატებები შეიტანოს, ცვლილების/დამატებების განხორციელებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე ბანკის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების ან კომპანიისთვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ამ პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კომპანიას უფლება ექნება ბანკის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან ან ბანკის შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეასრულოს ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებები / გადაუხადოს ბანკს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი და შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება (მოსთხოვოს ბანკს ხელშეკრულების შეწყვეტა). ხელშეკრულების მოქმდება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კომპანიის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ ისარგებლებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კომპანიის მიერ მიღებულად, პირობები კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად. ბანკს უფლება აქვს პირობების ცვლილება/დამატება, რომელიც არ აუარესებს კომპანიის მდგომარეობას, ძალაში შეიყვანოს ვებგვერდზე მისი განთავსებისთანავე.

**3.** შეიცვალოს ხელშეკრულების ძირითადი პირობების 1.5. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.5. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ ხელშეკრულებით და/ან ნებისმიერი განაცხადით და/ან ნებისმიერი დანართით და/ან ბანკის ვებგვერდზე განსაზღვრული პირობე(ებ)ის ცვლილება/დამატებას, ბანკი განახორციელებს კომპანიის სასარგებლოდ, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს კომპანიას ცვლილების შესახებ.

**4.** შეიცვალოს ხელშეკრულების ძირითადი პირობების 1.6.1. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია (ა) წინამდებარე ხელშეკრულებაში და/ან (ბ) კომპანიის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ/წარდგენილ/ხელმოწერილ ნებისმიერ დოკუმენტში / განაცხადში და/ან (გ) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ითვლება კომპანიისთვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.

**5.** შეიცვალოს სტანდარტული პირობების 1.1. პუნქტით განსაზღვრული ტერმინის „საკომისიო" განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საკომისიო – ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების საზღაური, რომელსაც კომპანია უხდის ბანკს ხელშეკრულებით დადგენილი წესის და კომპანიის მიერ ხელმოწერილ განაცხადში მოცემული ან ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ტარიფების შესაბამისად.

**6.** შეიცვალოს სტანდარტული პირობების 2.1.1. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1.1. ელექტრონული ჟურნალის მონაცემებზე დაყრდნობით და განაცხადით / ბანკის ვებგვერდზე დადგენილ ვადებში გადაურიცხოს კომპანიას გარიგებ(ებ)ის თანხები ეროვნულ ვალუტაში კომპანიის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ რეკვიზიტებზე.

**7.** შეიცვალოს სტანდარტული პირობების 2.2.7. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.2.7. მიმდინარე თვეში შეაჩეროს ოპერაციების სადღეღამისო ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადააჭარბა გასული თვის განმავლობაში განაცხადში / ბანკის ვებგვერდზე განსაზღვრულ ლიმიტებს ელექტრონულ მაღაზიაში განხორციელებულ ოპერაციებზე.

**8.** შეიცვალოს სტანდარტული პირობების 2.2.10. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.2.10. განაცხადში / ბანკის ვებგვერდზე ავანსად აღებული საკომისიოს ველში მითითებული საკომისიოს ოდენობა ჩამოჭრას (ჩამოწეროს) კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან ხელშეკრულების/განაცხადის/კომპანიისგან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობაზე დისტანციური არხით (მათ შორის ინტერნეტ-ბანკით, ელექტრონული ფოსტით) მიღებული შეტყობინების (მოთხოვნის / თანხმობის) გაფორმებისთანავე / მიღებისთანავე. თუ კომპანიის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი გადააჭარბებს ავანსად აღებული საკომისიოს ოდენობას, ავანსად აღებული საკომისიო სრულად დაუბრუნდება კომპანიას ანგარიშზე, ხოლო თუ საკომისიოს ოდენობა აღმოჩნდება ავანსად აღებულ საკომისიოს თანხაზე ნაკლები, კომპანიას შესაბამისი საკომისიოები ანგარიშ(ებ)იდან ჩამოეწერება ამავე დებულებით გათვალისწინებული ლოგიკის (წესების) შესაბამისად.

**9.** <u>შეიცვალოს სტანდარტული პირობების 2.3. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

2.3. სადაზღვევო რეზერვი განსაზღვრულია განაცხადში / ბანკის ვებგვერდზე, თუმცა ბანკს მისი გადაწყვეტილებისამებრ შეუძლია ნებისმიერ დროს გაზარდოს ან შეამციროს აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლი. ცვლილებები უნდა ეფუძნებოდეს კომპანიის მიერ ჩარჯბეკებთან ან დაბრუნებულ გადასახადებთან დაკავშირებულ ინდიკატორებს და ოდენობას, ანგარიშების მდგომარეობას, ტრანზაქციების მოცულობას და სხვა ძირითად ფაქტორებს სტანდარტების შესაბამისად.

**10.** <u>სტანდარტულ პირობებს დაემატოს 4.9. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

4.9. ბანკი პასუხს არ აგებს კომპანიის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის (ელ. ფოსტის, ინტერნეტ-ბანკის) საშუალებიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

**11.** <u>შეიცვალოს სტანდარტული პირობების 6.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის განაცხადის მიღების ბანკის მიერ დადასტურების ან კომპანიისგან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობაზე დისტანციური არხით (მათ შორის ინტერნეტ-ბანკით, ელექტრონული ფოსტით) შეტყობინების (მოთხოვნის / თანხმობის) მიღების მომენტიდან და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.